„ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ და „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული პირების აღრიცხვის, მათთვის შესაბამისი კატეგორიების მიხედვით, მოწმობების გაცემის, სტატუსის შეწყვეტის და აღდგენის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 21 ივლისის №342 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის და ,,ვეტერანის მოწმობის ნიმუშისა და მისი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 22 აგვისტოს №509 დადგენილებით დამტკიცებული №2 დანართის პირველი მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ და „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული პირების აღრიცხვის, მათთვის შესაბამისი კატეგორიების მიხედვით, მოწმობების გაცემის, სტატუსის შეწყვეტის და აღდგენის შესახებ“ თანდართული ინსტრუქცია.

2. ბრძანება გაეცნოს სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის სტრუქტურულ ერთეულებსა და ტერიტორიულ ორგანოებს.

3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის პირველ მოადგილეს - ნიკოლოზ კვეზერელს.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ და „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პირების აღრიცხვის, მათთვის შესაბამისი კატეგორიების მიხედვით მოწმობების გაცემის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის 2014 წლის 24 მარტის №37/ს ბრძანება.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

6. ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

სამსახურის დირექტორი **კობა კობალაძე**

„ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ და „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული პირების აღრიცხვის, მათთვის შესაბამისი კატეგორიების მიხედვით, მოწმობების გაცემის, სტატუსის შეწყვეტის და აღდგენის შესახებ ინსტრუქცია

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

წინამდებარე ინსტრუქცია განსაზღვრავს „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ და „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული პირების (შემდგომში – ვეტერანები) აღრიცხვის, მათთვის შესაბამისი კატეგორიების მიხედვით, ვეტერანის მოწმობების გაცემის, სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის და აღდგენის პროცედურულ საკითხებს და არეგულირებს ვეტერანთა მოწმობების გაცემასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს.

მუხლი 2. ვეტერანის მოწმობის გამცემი ორგანო

ვეტერანის მოწმობების გაცემას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური (შემდგომში – სამსახური) ტერიტორიული ორგანოების (შემდგომში - ტერიტორიული ორგანოები) მეშვეობით.

მუხლი 3. ვეტერანთა მოწმობების სახეები

1. ვეტერანის მოწმობა გაიცემა შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

ა) ომის მონაწილე;

ბ) მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი;

გ) მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი;

დ) ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი;

ე) ომის მონაწილესთან გათანაბრებული პირი;

ვ) სამხედრო ძალების ვეტერანი;

ზ) ომში დაღუპულის ოჯახის წევრი;

თ) მარჩენალდაკარგული.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ორი ან მეტი კატეგორიის მიკუთვნების უფლების წარმოშობის შემთხვევაში ვეტერანის მოწმობა გაიცემა მხოლოდ ერთი კატეგორიის მიხედვით, პირის არჩევით.

მუხლი 4. ვეტერანის აღრიცხვაზე აყვანა

1. ვეტერანის აღრიცხვაზე აყვანის დროს მის შესახებ მონაცემები შეიტანება სამსახურის დირექტორის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ნიმუშის შესაბამის ანკეტა-განაცხადში, ქვემოთ ჩამოთვლილი კატეგორიების

შესაბამისად:

ა) ომის მონაწილეებისათვის;

ბ) ომის შეზრუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის;

გ) ომის მონაწილეებთან გათანაბრებული პირებისა და სამხედრო ძალების ვეტერანებისათვის;

დ) ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებისა და მარჩენალდაკარგულებისათვის.

2. სამსახური ასევე უზრუნველყოფს ,,სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ნ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირების განცხადებების განხილვას და მათზე შესაბამისი ცნობების გაცემას.

3. ანკეტირების მიზნებია:

ა) „საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“, აგრეთვე „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონებით დადგენილი პირების ზუსტი აღრიცხვა;

ბ) ვეტერანთა აღრიცხვის ელექტრონულ მონაცემთა ბაზის (შემდგომში - მონაცემთა ბაზა) შექმნა, დახვეწა და მისი ადმინისტრირება (განახლება).

3. ვეტერანის ანკეტა-განაცხადი წარმოადგენს დოკუმენტს, რომელშიც შეიტანება მისი საიდენტიფიკაციო მონაცემები.

4. გარდაცვლილი ვეტერანის ანკეტა-განაცხადი სამსახურში ინახება 75 წლის განმავლობაში ვეტერანის გარდაცვალების დღიდან და ნადგურდება საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №72 ბრძანებით დამტკიცებული „დაწესებულებების საქმიანობის პროცესში შექმნილი ტიპობრივი მმართველობითი დოკუმენტების ნუსხის“ შესაბამისად.

მუხლი 5. ანკეტა-განაცხადის შევსების წესი

1. პირი ვეტერანის სტატუსის მინიჭების შესახებ წერილობითი განცხადებით პირადად მიმართავს სამსახურის ტერიტორიულ ორგანოს, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

2. განცხადება მიღებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

3. ქმედუუნარო პირის სახელით განცხადებით მიმართვის უფლებამოსილება აქვს მის კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის შემთხვევაში - უშუალოდ ან მის კანონიერ წარმომადგენელს, ასეთი საჭიროების შემთხვევაში.

4. არასრულწლოვანი პირისათვის შესაბამისი სტატუსის მინიჭების შესახებ განცხადებით სამსახურის ტერიტორიულ ორგანოს მიმართავს არასრულწლოვანი პირის მშობელი (მშობლები) ან მისი სხვა კანონიერი წარმომადგენელი, რომელიც ასევე ხელს აწერს არასრულწლოვანის ანკეტა-განაცხადს.

5. არასრულწლოვანი პირის ანკეტა-განაცხადში ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილად და რეგისტრაციის ადგილად მიეთითება ერთ-ერთი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი და რეგისტრაციის ადგილი.

6. ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია გააცნოს განმცხადებელს სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესი და განუმარტოს მისი უფლებები და

მოვალეობები. აგრეთვე ის მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს განცხადება და მიუთითოს განცხადებაში დაშვებული შეცდომების შესახებ.

7. იმ შემთხვევაში, თუ პირის განცხადება არ შეესაბამება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და ამ ინსტრუქციით დადგენილ მოთხოვნებს, სამსახურის ტერიტორიული ორგანო განცხადების მიღებიდან 3 დღის ვადაში აცნობებს განმცხადებელს ხარვეზის შესახებ და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, განუსაზღვრავს ხარვეზის გასწორების ვადას. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი მოითხოვს ხარვეზის გამოსწორებისათვის ვადის გაგრძელებას, სამსახურის ტერიტორიული ორგანო მხოლოდ ერთხელ, მაგრამ არაუმეტეს 5 დღით, უფლებამოსილია გაუგრძელოს ხარვეზის გამოსწორების ვადა.

8. პირისათვის ვეტერანის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვა შეწყდება, თუ:

ა) პირმა წერილობით განაცხადა უარი ვეტერანის სტატუსის მინიჭებაზე;

ბ) პირი გარდაიცვალა;

გ) დაინტერესებული პირის სახელით განცხადება შეიტანა არაუფლებამოსილმა პირმა;

დ) განცხადება შეიტანა ქმედუუნარო პირმა ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირმა, რომელიც საჭიროებს კანონიერი წარმომადგენლის ყოლას.

9. ვეტერანის სტატუსის მინიჭებაზე პირს უარი ეთქმება, თუ:

ა) პირი არ აკმაყოფილებს „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ და „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებულ პირობებს;

ბ) არსებობს განმცხადებლის მიმართ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება, რომლის შედეგად პირს უარი ეთქვა ვეტერანის სტატუსის მინიჭებაზე;

გ) პირს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა.

10. სამსახურის ტერიტორიული ორგანოს მიერ შევსებული, ამ ინსტრუქციის მიხედვით ხელმოწერილი და დამოწმებული ვეტერანის ანკეტა-განაცხადი, ვეტერანის ფოტოსურათი ზომით 3X4სმ (გარდა 6 წლამდე ასაკის პირის ანკეტისა (არასრულწლოვნის პირადი ნომერი სტატუსის მინიჭებისათვის სავალდებულოა)) თანდართულ საბუთებთან ერთად არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში წარედგინება სამსახურს.

11. ვეტერანის საანკეტო მონაცემებში შესწორების შეტანის შემთხვევაში ტერიტორიული ორგანოს უფროსის მიერ ანკეტა-განაცხადის მეორე გვერდზე კეთდება შესაბამისი ჩანაწერი შესწორების შეტანის შესახებ და მოწმდება სათანადო შტამპით.

12. სამსახურის სოციალურ საკითხთა და სააღრიცხვო-ანალიტიკური დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) 5 სამუშაო დღის ვადაში ახდენს შემოსული ანკეტა-განაცხადების და თანდართული საბუთების განხილვასა და შეჯერებას და ამზადებს დასკვნას პირისათვის ვეტერანის სტატუსის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ, რომელსაც ხელს აწერს დეპარტამენტის უფროსი. დეპარტამენტის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე გამოიცემა ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი პირისათვის ვეტერანის სტატუსის მინიჭების ან

მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ. ვეტერანის სტატუსის მინიჭების შემთხვევაში, ანკეტური მონაცემები შედის მონაცემთა ბაზაში.

13. საანკეტო მონაცემებსა და წარმოდგენილ დოკუმენტებს შორის უზუსტობის ან შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში, აგრეთვე დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში, მასალები დაზუსტებისა და სრულყოფის მიზნით, უბრუნდება შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს ან შემდგომი შესწავლისათის გადაეცემა ,,ვეტერანის სტატუსის მაძიებელთა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის ფაქტის დამდგენ კომისიას".

14. ვეტერანის საანკეტო მონაცემები ივსება ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა და ინახება სამსახურში, ხოლო მეორე რჩება შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში.

15. სამსახური გადაწყვეტილებას პირისათვის ვეტერანის სტატუსის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ განმცხადებელს აცნობებს წერილობითი ფორმით გადაწყვეტილების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

16. ვეტერანი ვალდებულია ანკეტა-განაცხადში შეტანილი პერსონალური მონაცემების ყოველი შემდგომი ცვლილებებისას აღნიშნულის თაობაზე ერთი თვის ვადაში განცხადებით აცნობოს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს, რის თაობაზეც ტერიტორიული ორგანოს თანამშრომელი წერილობით აფრთხილებს მაძიებელს ანკეტა-განაცხადის შევსების დროს. ასეთ შემთხვევაში, დეპარტამენტის უფროსის პირის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, სამსახურის დირექტორის თანხმობით, ხელახლა შეივსება ვეტერანის შესახებ მონაცემები ცვლილებების გათვალისწინებით და წარედგინება სამსახურს. ვეტერანის შეცვლილ მონაცემებს მიენიჭება ახალი საიდენტიფიკაციო კოდი და მასვე დაერთვება ადრე შევსებული მონაცემები, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს ახალი ანკეტა-განაცხადის განუყოფელ ნაწილს.

17. ვეტერანზე არსებული არასრული პერსონალური (საიდენტიფიკაციო) მონაცემების არსებობის შემთხვევაში სამსახური უფლებამოსილია მოსთხოვოს მას ამ მონაცემების შევსება.

18. ვეტერანის სტატუსის მინიჭებაზე პირისათვის უარის თქმის შემთხვევაში პირს ახალი განცხადებით სამსახურისათვის მიმართვის უფლება აქვს, თუ ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც საფუძვლად დაედო პირისათვის უარის თქმას, შეიცვალა და არსებობს ახლად აღმოჩენილი გარემოებანი, რომლებიც იწვევენ საფუძვლიან ვარაუდს, რომ პირი აკმაყოფილებს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ პირობებს.

მუხლი 6. ანკეტირებისათვის წარსადგენი დოკუმენტები

1. ვეტერანთა აღრიცხვის სწორად წარმართვის მიზნით ვეტერანის დამადასტურებელი მოწმობის მაძიებელმა შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში უნდა წარადგინოს შემდეგი საბუთების დედნები და ანკეტა-განაცხადზე დასართავად დედნების კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ასლები:

ა) მეორე მსოფლიო ომის მონაწილის და ომის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დამადასტურებელი ვეტერანის მოწმობის მაძიებელმა:

ა.ა) ყოფილ სსრკ-ს პერიოდში სამხედრო კომისარიატის მიერ გაცემული მეორე მსოფლიო ომის მონაწილის მოწმობა. მოწმობის დაკარგვის შემთხვევაში საჭიროა წარმოდგენილ იქნეს ცნობა კომპეტენტური ორგანოდან დაკარგული მოწმობის სერიისა და ნომრის აღნიშვნით ან ამონაწერი სააღრიცხვო ბარათიდან;

ა.ბ) სამხედრო ბილეთი (დედანი და საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის დამადასტურებელი შესაბამისი ჩანაწერის სათანადოდ დამოწმებული ასლი);

ა.გ) საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი და ასლი) და საინფორმაციო ბარათი რეგისტრაციის მითითებით სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან;

ა.დ) ომის პერიოდში მიღებული ორდენებისა და მედლების მოწმობები (დედანი და სათანადოდ დამოწმებული ასლი);

ა.ე) შეზღუდული შესაძლებლობის შემთხვევაში – შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტის ამონაწერი, რომელშიც მითითებული იქნება შესაძლებლობის შეზღუდვის მიზეზობრივი კავშირი ომთან, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის აქტის ამონაწერიდან ერთმნიშვნელოვნად ვერ დგინდება შესაძლებლობის შეზღუდვის მიზეზობრივი კავშირი ომთან, მიზეზობრივი კავშირის დადგენის მიზნით, დამატებით წარმოდგენილი უნდა იქნეს სამხედრო-სამედიცინო საექსპერტო კომისიის მიერ გაცემული დასკვნა შესაძლებლობის შეზღუდვის მიზეზის შესახებ ან/და ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №IV-100ა) გაცემული იმ სამედიცინო დაწესებულების მიერ, სადაც მოქალაქემ ჩაიტარა მკურნალობის კურსი საომარი მოქმედებების დროს მიღებული ჭრილობის, დასახიჩრების, კონტუზიის ან დაავადების გამო.

ა.ვ) დაბადების მოწმობა (დედანი, ასლი).

ბ) მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებთან გათანაბრებული ვეტერანის მოწმობის მაძიებელმა:

ბ.ა) ყოფილ სსრკ-ს პერიოდში სოციალური დაცვის განყოფილების მიერ გაცემული „შეღავათების უფლების მოწმობა“ (დედანი და სათანადოდ დამოწმებული ასლი), მისი დაკარგვის შემთხვევაში პირმა კომპეტენტური ორგანოდან უნდა წარმოადგინოს ცნობა დაკარგული მოწმობის სერიისა და ნომრის აღნიშვნით;

ბ.ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი და ასლი) და საინფორმაციო ბარათი რეგისტრაციის მითითებით სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან;

ბ.გ) ომის პერიოდში მიღებული ორდენებისა და მედლების მოწმობები (დედნები და ასლები);

ბ.დ) შრომის წიგნაკი (დედანი და სათანადოდ დამოწმებული ასლი) ან ზურგში მუშაობის დამადასტურებელი სხვა საბუთი (დედანი);

ბ.ე) დაბადების მოწმობა (დედანი, ასლი).

გ) სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების მონაწილის და ომის ინვალიდის დამადასტურებელი მოწმობის მაძიებელმა:

გ.ა) ყოფილ სსრკ-ს პერიოდში სამხედრო კომისარიატების მიერ გაცემული „შეღავათების უფლების მოწმობა“ (დედანი და სათანადოდ დამოწმებული ასლი), მისი დაკარგვის შემთხვევაში პირმა კომპეტენტური ორგანოდან უნდა წარმოადგინოს ცნობა დაკარგული მოწმობის სერიისა და ნომრის აღნიშვნით ან ამონაწერი სააღრიცხვო საინფორმაციო ბარათიდან;

გ.ბ) სამხედრო ბილეთი (დედანი და საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის დამადასტურებელი შესაბამისი ჩანაწერის სათანადოდ დამოწმებული ასლი);

გ.გ) საბრძოლო მოქმედებების პერიოდში მიღებული ორდენებისა და მედლების მოწმობები (დედნები და სათანადოდ დამოწმებული ასლები);

გ.დ) საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენმტი (დედანი და ასლი) და საინფორმაციო ბარათი რეგისტრაციის მითითებით სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან;

გ.ე) შეზღუდული შესაძლებლობის შემთხვევაში – შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტის ამონაწერი, რომელშიც მითითებული იქნება შესაძლებლობის შეზღუდვის მიზეზობრივი კავშირი ომთან, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის აქტის ამონაწერიდან ერთმნიშვნელოვნად ვერ დგინდება შესაძლებლობის შეზღუდვის მიზეზობრივი კავშირი ომთან, მიზეზობრივი კავშირის დადგენის მიზნით, დამატებით წარმოდგენილი უნდა იქნეს სამხედრო-სამედიცინო საექსპერტო კომისიის მიერ გაცემული დასკვნა შესაძლებლობის შეზღუდვის მიზეზის შესახებ ან/და ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №IV-100ა) გაცემული იმ სამედიცინო დაწესებულების მიერ, სადაც მოქალაქემ ჩაიტარა მკურნალობის კურსი საომარი მოქმედებების დროს მიღებული ჭრილობის, დასახიჩრების, კონტუზიის ან დაავადების გამო.

გ.ვ) დაბადების მოწმობა (დედანი, ასლი).

დ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საბრძოლო მოქმედებების მონაწილის და ომის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დამადასტურებელი ვეტერანის მოწმობის მაძიებელმა:

დ.ა) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შესაბამისი სამსახურიდან და სხვა შესაბამისი უწყებიდან ნებისმიერი დოკუმენტი და სხვა მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ საბრძოლო მოქმედებების პერიოდში სამხედრო ფორმირებაში სამსახურს და კონფლიქტურ ზონაში საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობას (სამხედრო ბილეთში შესაბამისი ჩანაწერი; ჩარიცხვის, ამორიცხვის, მივლინების, წახალისების, წოდების მინიჭების, დაჯილდოების ბრძანებები, სამხედრო ტრავმის მიღების, იარაღის, ფორმა-ტანსაცმლის, სურსათის, ხელფასის მიღების შესახებ საბუთები და სხვ.). მაძიებელმა ასევე უნდა წარადგინოს საბრძოლო მოკვლევა, რომელსაც ხელმოწერით ადასტურებს ვეტერანის სტატუსის მქონე იმავე ქვედანაყოფის არანაკლებ სამი პირი – ერთი მეთაურთა შემადგენლობიდან და ორი თანამებრძოლი. ხელმოწერები ძალოვანი უწყების მოსამსახურეებზე დადასტურებულ უნდა იქნეს შესაბამისი უწყების ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან ნოტარიულად.

დ.ბ) მოხალისეებზე, რომლებზეც არ მოიპოვება ოფიციალურ სამხედრო ფორმირებებში ჩარიცხვის თაობაზე დოკუმენტაიცა, წარდგენილ უნდა იქნეს იმ პერიოდში მიღებული ჯილდოების, სამხედრო ტრავმების შესახებ ცნობების და მათ ხელთ არსებული სხვა შესაძლო დოკუმენტების დედნები და სათანადოდ დამოწმებული ასლები; საბრძოლო მოკვლევა, რომელსაც ხელმოწერით ადასტურებს ვეტერანის სტატუსის მქონე იმავე ქვედანაყოფის არანაკლებ სამი პირი – ერთი მეთაურთა შემადგენლობიდან და ორი თანამებრძოლი. ხელმოწერები დადასტურებულ უნდა იქნეს ნოტარიულად; ,,ვეტერანების სტატუსის მაძიებელთა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის ფაქტის დამდგენი კომისი“ ოქმი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ.გ) სამოქალაქო ავიაციის მფრინავების მიერ საომარი მოქმედების ზონაში სპეციალური რეისების შესრულების დამადასტურებლი საფრენოსნო ბარათის დედანი და სათანადოდ

დამოწმებული ასლი;

დ.დ) შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან ნებისმიერი დოკუმენტი და სხვა მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ საბრძოლო მოქმედებების პერიოდში შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურს და კონფლიქტურ ზონაში საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობას (საბრძოლო მოქმედებებში მივლინების ბრძანება, ცნობა კადრებიდან სად და რა თანამდებობაზე იმყოფებოდა საბრძოლო მოქმედებების პერიოდში, დაჯილდოების, წახალისების, წოდების მინიჭების ბრძანებები, ტრავმის მიღების, იარაღის, ფორმა-ტანსაცმლის, ხელფასის მიღების შესახებ საბუთები და სხვ.). მაძიებელმა ასევე უნდა წარადგინოს საბრძოლო მოკვლევა, რომელსაც ხელმოწერით ადასტურებს ვეტერანის სტატუსის არანაკლებ სამი პირი – ერთი მეთაურთა შემადგენლობიდან და ორი თანამებრძოლი. ხელმოწერები დადასტურებულ უნდა იქნეს შესაბამისი უწყების ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან ნოტარიულად; სამსახურში მოქმედი ,,ვეტერანების სტატუსის მაძიებელთა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის ფაქტის დამდგენი კომისიის“ ოქმი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ.ე) საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი და ასლი) და საინფორმაციო ბარათი რეგისტრაციის მითითებით სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან;

დ.ვ) შეზღუდული შესაძლებლობის შემთხვევაში – შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტის ამონაწერი, რომელშიც მითითებული იქნება შესაძლებლობის შეზღუდვის მიზეზობრივი კავშირი ომთან, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის აქტის ამონაწერიდან ერთმნიშვნელოვნად ვერ დგინდება შესაძლებლობის შეზღუდვის მიზეზობრივი კავშირი ომთან, მიზეზობრივი კავშირის დადგენის მიზნით, დამატებით წარმოდგენილი უნდა იქნეს სამხედრო-სამედიცინო საექსპერტო კომისიის მიერ გაცემული დასკვნა შესაძლებლობის შეზღუდვის მიზეზის შესახებ ან/და ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №IV-100ა) გაცემული იმ სამედიცინო დაწესებულების მიერ, სადაც მოქალაქემ ჩაიტარა მკურნალობის კურსი საომარი მოქმედებების დროს მიღებული ჭრილობის, დასახიჩრების, კონტუზიის ან დაავადების გამო;

დ.ზ) დაბადების მოწმობა (დედანი, ასლი).

ე) ომში დაღუპული ოჯახის წევრის და მარჩენალდაკარგულის მოწმობის მაძიებელმა:

ე.ა) საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი და ასლი) და საინფორმაციო ბარათი რეგისტრაციის მითითებით სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან;

ე.ბ) მეუღლის შემთხვევაში – ქორწინების მოწმობა (დედანი და სათანადოდ დამოწმებული ასლი) და ცნობა სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან, რომ არ იმყოფება მეორედ ქორწინებაში, ბავშვების შემთხვევაში – ბავშვების დაბადების მოწმობა (დედანი და სათანადოდ დამოწმებული ასლი), მშობლის შემთხვევაში - დაღუპულის (გარდაცვლილის) დაბადების მოწმობა (დედანი და სათანადოდ დამოწმებული ასლი);

ე.გ) გარდაცვალების მოწმობა (დედანი და სათანადოდ დამოწმებული ასლი);

ე.დ) შეზღუდული შესაძლებლობის შემთხვევაში – შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტის

ამონაწერი (დედანი და ასლი);

ე.ე) თუ პირი უგზო-უკვლოდაა დაკარგული, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოს გადაწყვეტილება პიროვნების უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების და/ან გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ (დედანი და სათანადოდ დამოწმებული ასლი);

ე.ვ) თუ გარდაცვლილი დაჯილდოებულია სახელმწიფო ჯილდოებით – წარმოდგენილ უნდა იქნეს ჯილდოს მოწმობა (დედანი და სათანადოდ დამოწმებული ასლი;

ე.ზ) გარდაცვლილის (დაღუპულის, უგზო-უკვლოდ დაკარგულის) ომში მონაწილეობის დამადასტურებელი ამავე ინსტრუქციის მე-6 მუხლის „ა-დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საბუთები (დედანი და სათანადოდ დამოწმებული ასლი);

ე.თ) მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების შემთხვევაში - შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის დასკვნა ან ცნობა, რომელშიც მითითებული იქნება გარდაცვალების მიზეზობრივი კავშირი ომთან ან შესაბამისი უწყების გენერალური ინსპექციის დასკვანა გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით;

ე.ი) ,,ვეტერანების სტატუსის მაძიებელთა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის ფაქტის დამდგენი კომისიის“ ოქმი - ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ვ) სამხედრო ძალების ვეტერანის დამადასტურებელი მოწმობის მაძიებელმა:

ვ.ა) საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული საინფორმაციო ბარათი რეგისტრაციის ადგილის მითითებით;

ვ.ბ) შესაბამისი უწყების/დაწესებულების მიერ გაცემული წელთა ნამსახურობის ნუსხა/გაანგარიშება;

ვ.გ) შესაბამისი უწყებიდან ცნობა, რომელიც ადასტურებს სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლებას ნამსახურების ვადის ამოწურვის ან შესაძლებლობის შეზღუდვის დადგენის გამო;

ვ.დ) დაბადების მოწმობა;

ვ.ე) მიღებული სახელმწიფო ან/და უწყებრივი ჯილდოები;

ვ.ვ) ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე და სამხედრო ან სამოქალაქო დანიშნულების სხვა ბირთვულ ობიექტებზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციაში მონაწილე სამხედრო მოსამსახურეებმა ამ ფაქტის დადასტურებისათვის უნდა წარმოადგინონ საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, დაბადების მოწმობა, სამხედრო ბილეთი, შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტის ამონაწერი და კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული საინფორმაციო ბარათი.

2. მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ვეტერანის გარდაცვალების გამო მარჩენალდაკარგულის მოწმობის მაძიებლის განცხადების განხილვის შემთხვევაში, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სამსახურში არსებული გარდაცვლილი ვეტერანის ანკეტა-განაცხადზე დართული დოკუმენტაცია.

3. სამსახური უფლებამოსილია ოფიციალური ძალა მიანიჭოს სამსახურში შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოებიდან შემოსულ, ამ მუხლის ,,დ“ პუნქტის ,,დ.ა“, ,,დ.ბ“ და ,,დ.დ“ ქვეპუნქტებში გათვალისწინებულ, საბრძოლო მოქმედებების პერიოდში სამხედრო ფორმირებაში

სამსახურის გავლის და კონფლიქტურ ზონაში საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობის დამადასტურებელ იმ დოკუმენტების ასლებს, რომელთა დედნები არ მოიპოვება და გააჩნიათ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისთვის ან შესაბამისი დოკუმენტისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო რეკვიზიტები.

4. თუ წარდგენილი განაცხადი ან დოკუმენტი შედგენილია არასახელმწიფო ენაზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 73-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების თანახმად, მაძიებელი ვალდებულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში წარადგინოს განცხადების ან დოკუმენტების სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი.

5. დაუშვებელია რაიმე სხვა სახის საბუთის ან ინფორმაციის მოთხოვნა, რომელიც არ არის დაკავშირებული „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ და „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრულ გარემოებებთან.

მუხლი 7. ვეტერანის მოწმობის გაცემა

1. ვეტერანის სტატუსის მინიჭების შემდეგ გაიცემა ვეტერანის მოწმობა.

2. ვეტერანის მოწმობაში აისახება ის აუცილებელი პერსონალური (საიდენტიფიკაციო) მონაცემები, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 22 აგვისტოს №509 დადგენილებით.

3. ვეტერანის მოწმობა ადასტურებს პირისათვის ვეტერანის სტატუსის მინიჭების ფაქტს.

4. ვეტერანის მოწმობა გაიცემა შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

ა) ომის მონაწილის მოწმობა – „საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“–„დ“, „ვ“–„თ“ ქვეპუნქტების, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის, მე-9 მუხლით გათვალისწინებულ პირებზე;

ბ) ომის შშმპ-ის მოწმობა – „საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 და მე-12 მუხლებით გათვალისწინებულ პირებზე;

გ) ომის მონაწილესთან გათანაბრებული პირის მოწმობა – „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის „ე“, „ი“, „კ“, „ლ“, „მ“, „ნ“ (გარდა იძულებით პატიმრობაში მყოფი მეომრებისა) ქვეპუნქტებით, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ პირებზე;

დ) სამხედრო ძალების ვეტერანის მოწმობა – „საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 და მე-17 მუხლებით გათვალისწინებულ პირებზე;

ე) ომში დაღუპულის ოჯახის წევრის მოწმობა – „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი და მე-4 მუხლებით გათვალისწინებულ პირებზე;

ვ) მარჩენალდაკარგულის მოწმობა – „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირებზე.

5. ვეტერანის მოწმობის მიღების უფლება აქვს უშუალოდ ვეტერანის სტატუსის მქონე პირს, ხოლო არასრულწლოვანი, ქმედუუნარო ან იმ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის

შემთხვევაში, რომელიც საჭიროებს კანონიერი წარმომადგენლის ყოლას, – მის კანონიერ წარმომადგენელს. დაუშვებელია სხვა პირზე ვეტერანის მოწმობის გაცემა. არასრულწლოვანი, ქმედუუნარო ან იმ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის (ვეტერანის) შემთხვევაში, რომელიც საჭიროებს კანონიერი წარმომადგენლის ყოლას, მისი კანონიერი წარმომადგენელი ხელს აწერს ვეტერანის მოწმობას და მის მიღებას ადასტურებს ხელმოწერით.

6. მოწმობა გაიცემა იმ ტერიტორიული ორგანოს მიერ, სადაც პირს გავლილი აქვს რეგისტრაცია, ან მისივე განცხადების საფუძველზე ფაქტიური საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს მიერ, საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში ან მოწმობის მიღების უფლების შესახებ ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე.

7. საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის შეცვლის შემთხვევაში, მოწმობის მიმღები პირი ვალდებულია მოწმობის გამცემ პირს ჩააბაროს ძველი მოწმობა, რის თაობაზეც ტერიტორიული ორგანოს თანამშრომელი წერილობით აფრთხილებს მაძიებელს ანკეტა-განაცხადის შევსების დროს. ამ შემთხვევაში ჟურნალში კეთდება შესაბამისი შენიშვნები.

8. ვეტერანის მოწმობის შეცვლისას, ახალი მოწმობის მიღებამდე, სამსახური უზრუნველყოფს, მოთხოვნის შესაბამისად, დროებითი ცნობის გაცემას. დროებით ცნობაში მიეთითება ვეტერანის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დროებითი ცნობის გაცემის თარიღი, სტატუსის მინიჭების თარიღი, საიდენტიფიკაციო ათნიშნა კოდი, აგრეთვე, ცნობის გაცემაზე უფლებამოსილი თანამდებობის პირის ხელმოწერა, რომელიც დამოწმებულია სამსახურის ბეჭდით.

მუხლი 8. ვეტერანის სტატუსის შეწყვეტის და აღდგენის წესი

1. პირს ვეტერანის სტატუსი შეუწყდება, თუ:

ა) მას პირადი განცხადების საფუძველზე მოეხსნა ვეტერანის სტატუსი;

ბ) მას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა;

გ) მარჩენალდაკარგული პირ(ებ)ის 18 წლის ასაკის მიღწევისას;

დ) სასამართლომ იგი აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გამოაცხადა გარდაცვლილად;

ე) მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ვეტერანთა ხელახალი რეგისტრაციის გამოცხადების შემთხვევაში, მან წინასწარ გამოცხადებულ ვადაში სამსახურში არ გაიარა რეგისტრაცია;

ვ) თუ მან ეს სტატუსი ყალბი ან/და არასრული საბუთებისა და ინფორმაციის წარდგენის საფუძველზე მიიღო;

ზ) იგი გარდაიცვალა;

თ) სხვა საფუძვლით, თუ ის გამომდინარეობს ამ ინსტრუქციიდან.

2. პირს ვეტერანის სტატუსი აღუდგება, თუ:

ა) სასამართლომ გააუქმა ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება;

ბ) მას ვეტერანის სტატუსი შეწყვეტილი ჰქონდა ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად მიენიჭა/აღუდგა საქართველოს მოქალაქეობა;

გ) მას ვეტერანის სტატუსი შეწყვეტილი ჰქონდა ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე და პირადი განცხადებით კვლავ მოითხოვა ვეტერანის სტატუსის მინიჭება.

3. პირისათვის ვეტერანის სტატუსის შეწყვეტის და აღდგენის საკითხის შესწავლის და შესაბამისი დასკვნის მომზადების უფლებამოსილება აქვს დეპარტამენტს ან/და სამსახურის მონიტორინგისა და აუდიტის სამმართველოს, რომელთა დასკვნას ხელს აწერს შესაბამისი დეპარტამენტის/სამმართველოს უფროსი.

4. დეპარტამენტის ან/და სამსახურის მონიტორინგისა და აუდიტის სამმართველოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე გამოიცემა პირისათვის ვეტერანის სტატუსის შეწყვეტის ან აღდგენის შესახებ სამსახურის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

5. პირისათვის ვეტერანის სტატუსის შეწყვეტის ან აღდგენის შესახებ სამსახურის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე დეპარტამენტი ახორციელებს შესაბამის ცვლილებებს მონაცემთა ბაზაში.

6. მონაცემთა ბაზის წვდომაზე და მასში ცვლილებების განხორციელებაზე სამსახურის უფლებამოსილ თანამშრომლებს განსაზღვრავს სამსახურის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

7. პირისათვის ვეტერანის სტატუსის შეწყვეტის და აღდგენის თაობაზე დავებს წყვეტს სასამართლო.

მუხლი 9. ანგარიშის წარდგენა

1. დეპარტამენტი ტერიტორიული ორგანოდან თვეში ერთხელ გამოითხოვს იმ ვეტერანების სიებს, რომლებიც მოიხსნენ აღრიცხვიდან (გარდაცვალების ან სხვა მიზეზით).

2. ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი ან სამსახურის სხვა უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეული თვეში ერთხელ აბარებს დეპარტამენტს გარდაცვლილ ვეტერანთა ვეტერანის მოწმობებს დადგენილი წესით, რომლებიც შემდგომ ნადგურდება საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №72 ბრძანებით დამტკიცებული „დაწესებულებების საქმიანობის პროცესში შექმნილი ტიპობრივი მმართველობითი დოკუმენტების ნუსხის“ შესაბამისად.

მუხლი 10. სარეგისტრაციო ჟურნალი

1. ვეტერანის მოწმობის გაცემის უზრუნველყოფის მიზნით იქმნება სარეგისტრაციო ჟურნალი (შემდგომში – ჟურნალი).

2. ჟურნალში აღინიშნება რეგისტრაციის ნომერი, მოწმობის მიმღები პირის სახელი, გვარი, მამის სახელი, ვეტერანის მოწმობის საიდენტიფიკაციო კოდი, მისამართი, ტელეფონის ნომერი, პირადი ნომერი, მოწმობის მიმღები პირის ხელმოწერა, მოწმობის გაცემის თარიღი, შენიშვნა (არსებობის შემთხვევაში).

3. სარეგისტრაციო ჟურნალს ამზადებს დეპარტამენტი და გადასცემს ტერიტორიულ ორგანოებს.

4. ჟურნალების გადაცემა ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით, რომელსაც ხელს აწერენ ჟურნალის გაცემასა და მიღებაზე უფლებამოსილი პირები.